


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
დეპარტამენტი



დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 3, “9” “ივნისი” 2011 წელი

რექტორი:

ლ. ქელბაქიანი

Minor პროგრამა

ინგლისური ენა

ქუთაისი

2011

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
ინგლისური ენა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:
ბაკალავრიატი

სწავლების ენა:
ქართული, ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, ინგლისური ენისა და ნებისმიერი მეოთხე არჩევითი საგნის წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, და მინიმუმ „B“ შეფასება საგნებში: „ინგლისური ენა 1“, „ინგლისური ენა 2“,

პროგრამის მოცულობა:

პროგრამის საერთო მოცულობაა 60 კრედიტი, ანუ 1500 საათი

პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:

როგორც ცნობილია, 21-ე საუკუნე კომუნიკაციის ეპოქაა. გლობალიზაციის პროცესმა კიდევ უფრო აუცილებელი გახადა უცხო ენაზე (განსაკუთრებით ინგლისურზე) ინფორმაციის მიღება- გადაცემის უნარის ქონა. ინტერნეტი ხომ თანამედროვე ადამიანის ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი გახდა, რომელმაც შეუზღუდავი გახადა ნებისმიერ კონტინენტზე ადამიანთა შორის ინფორმაციული კონტაქტი. იგი ინფორმაციის მოპოვების ერთერთ ძირითად წყაროდ იქცა. ამასთან, დღევანდელ დღეს საერთაშორისო ბიზნესის ენად ხომ ინგლისური მოიაზრება. ამდენად, ნებისმიერ დარგის კარგი სპეციალისტი ინგლისურ ენასაც უნდა ფლობდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაიზარდა ახალგაზრდათა სწრაფვა განათლება მიიღონ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში, დასაქმების სფეროშიც ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად ინგლისური ენის ცოდნა მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, ინგლისური ენის სწავლება უმაღლეს სასწავლებელში პრიორიტეტული გახდა.

მეორადი სპეციალობის დისციპლინათა ჩამონათვალში ინგლისური ენის შეტანა სავსებით ბუნებრივია. სტუდენტებს, რომლებიც მეორად სპეციალობად ინგლისურ ენას აირჩევენ, შესაძლებლობა მიეცემათ სრულყოფილად დაეუფლონ ინგლისურ ენას. სწავლება დაეფუძნება თანამედროვე კომუნიკაციურ მიდგომას - ენა შევასწავლოთ გამოყენების დონეზე. სტუდენტს გამოუმუშავდება ინგლისური ენის ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს უცხოეთის სასწავლო, გაცვლით პროგრამებში (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში), სტაჟირება გაიაროს უცხოეთში, დაესწროს ტრენინგებს, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში და ა.შ.

დღეს საერთაშორისო აკადემიურ პროგრამებში მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად პირობას ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდების წარმატებით ჩაბარება წარმოადგენს. მათ

შორის ყველაზე გავრცელებული უდავოდ TOEFL-ია, რომელიც მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტისკენ უხსნის გზას სტუდენტებს. ეს გამოცდა გათვლილია საკმაოდ მაღალი დონის ენობრივ კომპეტენციაზე (Upper-Intermediate Level). ამდენად, მაინორის პროგრამაში საათების საკმაოდ დიდი ოდენობა ეთმობა მას. კურსი ორიენტირებულია იმაზე, რომ მოახდინოს სტუდენტების ენობრივი ცოდნისა და უნარების გააქტიურება და მათი მორგება TOEFL-ის ფორმატზე.

„უცხო ენის“ Minor პროგრამის ძირითადი მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტებს გაუღრმავოს ინგლისური ენის ყველა ასპექტის ეფექტურად გამოყენების უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს ენობრივი ავტომატიზმები წერითი და ზეპირი მეტყველების სფეროებში, დაეუფლოს ბიზნეს ინგლისურის, პრესის ტერმინოლოგიას, რომლის გამოყენებასაც ის შეძლებს ბანკში, ოფისში და სხვა ბიზნეს გარემოში; გაწვრთნას TOEFL -ის ტიპიურ აქტივობებში, რათა სტუდენტმა შეძლოს TOEFL, FCE, IELTS და სხვა გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

სწავლის შედეგი:

1. ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს ექნება:

1. მდიდარი ლექსიკური მარაგი ყოფითი და გლობალური თემატიკის ფარგლებში, მათ შორის, ბიზნესის სფეროში და დაუფლებული იქნება მისი გამოყენების ხელოვნებას ზეპირი და წერილობითი სახით სწორი გრამატიკული სტრუქტურებისა და შესაბამისი რეგისტრის დაცვით.
 2. აუთენტური მეტყველების მოსმენისა და გაგების უნარ-ჩვევები
 3. კითხვის სხვადასხვა სახეების (ჩუმი კითხვა, სწრაფი კითხვა, გაცნობითი, შერჩევითი და ინტენსიური კითხვა) გამოყენების უნარ-ჩვევები უცნობი მხატვრული თუ ბიზნეს ტექსტების გასააზრებლად.
 4. სხვადასხვა შინაარსის ბარათების, მოკლე შეტყობინების, მეგობრული და საქმიანი წერილების, CV- ის, სამოტივაციო წერილის, რეკლამის, ოქმის, აბზაცის და ესეს წერის უნარ-ჩვევები მათთვის დამახასიათებელი ლექსიკის, სტრუქტურისა და რეგისტრის გამოყენებით.
 5. მაღალი ენობრივი და საკომუნიკაციო კომპეტენცია, რაც გულისხმობს პროდუქტიული და რეცეფციული უნარ-ჩვევების განვითარების მაღალ დონეს, მათი ინტეგრირების უნარს.
3. სტრუქტურულად დიდი და განსხვავებული დისკურსის სტატიების გაგებისა და რეზიუმირების უნარი.
4. ენის სისტემური ცოდნა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტი შეძლებს:

1. ბიზნეს ტექსტში მთავარი, დეტალური და ფარული ინფორმაციის ამოცნობას და გადმოცემას და მათ ორგანიზებას.

2. დებატებში აქტიური მონაწილეობის მიღებას
3. წაკითხული ან მოსმენილი B2 დონის ტექსტის შინაარსის ლოგიკურად და კოჰერენტულად გადმოცემას

-
4. ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება წაკითხულ ან მოსმენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
 4. გააკეთოს მოკლე ზეპირი პრეზენტაცია;
 5. ისაუბროს ტელეფონზე
 6. დაწეროს სხვადასხვა სახის ოფიციალური და არაოფიციალური წერილები, თხზულება და ესე.

3. კომუნიკაციის უნარი

სტუდენტს ექნება:

1. თანამოსაუბრესთან და აუდიტორიასთან ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის დამყარების უნარი, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით.
2. საკითხის განხილვაში ინგლისურ ენაზე მონაწილეობის უნარი და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი

-
3. აკადემიური გარემოსთვის შესაფერისი სტილით მეტყველებისა თუ წერის უნარი
 4. ინგლისურენოვანი ლექტორის ან თანატოლის მეტყველების სწორად აღქმისა და შეფასების უნარი, მათგან მიღებულ ინფორმაციაზე ადექვატური რეაგირების უნარი
 5. სატელეფონო საუბრების გაგებისა და საპასუხო რეაგირების გაკეთების უნარი.

4. სწავლის უნარი

სტუდენტი შეძლებს:

1. შესასრულებელი დავალების მოთხოვნათა განსაზღვრას
2. საკუთარი ენობრივი ცოდნის ნაკლოვანებათა დადგენას და ხარვეზების აღმოსაფხვრელად ზომების შემუშავებას და გატარებას
3. თანატოლთა და საკუთარი სწავლის საჭიროებების შეფასებას
4. ინგლისური ენის შესასწავლ ინტერნეტ საიტებზე დამოუკიდებლად მუშაობას
5. სწავლის გაგრძელებას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით
6. ინგლისური ენის ცოდნის გამოყენებას პროფესიული განვითარებისათვის.

5. დასკვნის გაკეთების უნარი

სტუდენტი შეძლებს გამოიტანოს დასკვნა:

1. რატომ არის გარკვეული თემის ან საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანი?
2. რაში დაეხმარა მას მოცემული აქტივობა
3. შეძლებს წერილობითი თუ ზეპირი სახით გადმოცემული ამბავის შეჯამებას, მის კრიტიკულ შეფასებას, დასკვნის გამოტანას და მის სათანადო დასაბუთებას.

6. ღირებულებები

სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის გაცნობიერება:

1. არ დაიგვიანოს ლექციებზე (იყოს პუნქტუალური)
2. უმიზეზოდ არ გააცდინოს ლექციები
3. ლექციებზე მოვიდეს მომზადებული
3. გააჩნდეს მოსმენის კულტურა
4. იყოს მოტივირებული და მიზანსწრაფული სწავლის მიმართ, გამუდმებით ზრუნავდეს პროფესიული ცოდნის ამაღლებისათვის
5. იყოს მეგობრული და თავმდაბალი პიროვნება
6. იყოს გუნდის კარგი წევრი, გააჩნდეს თანამშრომლობის უნარი.

დასაქმების სფეროები

ინგლისური ენის minor პროგრამას უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების/ეკონომიკის ძირითადი პროგრამის ფარგლებში თავაზობს მსურველებს, ამდენად აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლა გააძლიერებს სტუდენტთა ძირითადი სპეციალობით მისაღწევ კომპეტენციებს, რაც ერთობ გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და წარმატებული კარიერის ფორმირების საფუძველი გახდება.

სწავლების მეთოდები

პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები, რაც დეტალურად გაწერილია უნივერსიტეტის დიდაქტიკურ კონცეფციაში. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით სტუდენტთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაც უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ (ცოდნის ათვისების ხარისხი, კრიტიკულად გააზრება) და მრავლისმომცველად (უნარ-ჩვევების გამომუშავება, მეტი ინფორმაციის დაფარვა) შეიძლება. ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ იქნება პრაქტიკული მეცადინეობები, სამუშაო ჯგუფები, პროექტები, შემთხვევების ანალიზი და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები.

შეფასება

შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით უნდა დადგინდეს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებულ იქნება შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წინამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და

რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში.

ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების მინიმალურ დადებით ქულად ითვლება 51.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება მხოლოდ წერიითი ფორმით.

სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
- რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა. ეს ნიშნავს, იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.
- ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

შეფასების სისტემა

შეფასება ხდება ქულათა სისტემით. ყოველი კომპონენტის (გარდა დასწრება-აქტივობებისა) მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დამამთავრებელ გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

• მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის.

- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

GPA გამოთვლის წესი

GPA	ქულა
4.0	91%-ზე მაღალი
3.7	85 - 91%
3.3	81 - 84.9%
3.0	75 - 80.9 %
2.7	71 - 74.9%
2.3	61 - 70.9%
2.0	51 - 60.9%
1.7	41 - 50.9%
1.3	30 - 39.9%
1.0	20 - 29.9%
0.0	0.0 - 19.9%

GPA ინდივიდუალური კურსისთვის:

GPA-ს მინიჭება ყოველი ინდივიდუალური სასწავლო კურსისათვის ხდება ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე, მაგალითად თუ სტუდენტმა მიიღო 88 ქულა, მაშინ მისი GPA არის 3.7.

როგორ გამოითვლება კუმულატიური (დაგროვილი) GPA?

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტის კუმულატიური GPA გამოითვლება ფორმულით.

კუმულატიური GPA = საერთო ქულათა ჯამი / ათვისებული კრედიტების ჯამი

საერთო ქულა = **ინდივიდუალური GPA X კურსის კრედიტი**

მაგალითად, ვთქვათ, აიღეთ ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მათში შესაბამისად მიიღეთ 88 ქულა (GPA 3.7) და 78 ქულა (GPA 3.0), მაშინ კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

$$\text{საერთო ქულათა ჯამი} = (3.7 \times 3\text{კრ.}) + (3.0 \times 3\text{კრ.}) = 11.1 + 9.0 = 20.1$$

$$\text{ბოლო კუმულატიური GPA} = 20.1 / 6 = 3.33$$

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად: აუცილებელი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ინვენტარით,

ადამიანური რესურსები

1. გვილავა რუსუდან - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)
 2. ალავიძე მათა - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
 3. ნიჟარაძე ნინო - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
 4. მემანიშვილი ქეთევანი - მასწავლებელი
-